პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 296 (18538) კვირა, 26 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს

საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მკაფიო, ღრმაშინაარსიანი მოხსენება, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე. შეაჯამა რა ექვსი ათეული წლის მანძილზე სსრ კავშირის მიერ განვლილი გზის შედეგები, მან უაღრესად ზუსტად განსაზღვრა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, მათი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის პრინციპები, რომელთა არსი ის არის, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის უზრუნველყოს წყნარი, მშვიდობიანი მომავალი.

რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მტკიცე და თანმიმდევრულ კურსს, რომლის მიზანია ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შემდგომი აყვავება და დაახლოება, ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ძმობის ყოვლისმხრივი განმტკიცება და განვითარება, მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრება.

სწორედ ამას, ბრძოლისა და აღმშენებლობის განვლილ სახელოვან ექვს ათწლეულს ეხება რესპუბლიკის ავტონომიური ფორმირებებიდან საქინფორმის მიერ მომზადებული შენიშვნები.

მოსკოველთა დიდმნიშვნელოვანი თაოსნობა

დიდია მოსკოვის მშრომელთა და დიდება — შრომის მიხედვით!" სკკპ მოსკოვის საქალაქო ... სკკპ XXVI ყრილობის ...

[illegible]

ბულებანი, რომელთა მიზანია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, უყაირათობის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. მათ გადაწყვიტეს იმუშაონ დევიზით: „პატივი ... თის ქარხნის", ს. ორჯონიკიძის სახელობის „ჩარხსაშენებელი ქარხნის" და სხვა გაერთიანებებში გადაწყვეტილია მიაღწიონ მაღალ ორგანიზებულობას ყოველ უბანზე, ყოველ სამუშაო ადგილას, ბოლო მოუღონ სამუშაო დროის დაკარგვებს. ... სხვა დანახარჯების გარეშე. ... არის მოსკოველთა მიერ წამოწყებული მოძრაობის დიდი ეკონომიკური და აღმზრდელობითი ეფექტი.

პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, განიხილავენ ... ბის მომსახურების, საქალაქო მეურნეობის სამსახურების დაწესებულებებში, აგრეთვე მშრომელთა საცხოვრებელ ადგილას.

დედაქალაქის მეტი წილი საწარმოები და ორგანიზაციები მუშა- ... ელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, საქმით უპასუხონ პარტიის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

(საკდესი).

თანასწორი თანასწორთა შორის

ბ. ვ. ადლეიბა,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ გაკეთებული მოხსენება აფხაზეთის კომუნისტების, ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. კანონიერი სიამაყის გრძნობით აღვიქვით სიტყვები, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ძმურ ოჯახში წარმატებით ავლენს თავის შესაძლებლობებს ყველა ერი და ეროვნება, რომლებიც ცხოვრობენ ოც ავტონომიურ რესპუბლიკასა და თვრამეტ ავტონომიურ ოლქსა და ოკრუგში.

თანასწორთა შორის თანასწორი ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ესმით, ...

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მოწინავე მემანქანის ნ. ვ. აგრბას მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ყველაზე კარგად გამოხატავს ყველა იმათ აზრსა და გრძნობებს, ვინც აფხაზეთს უხვევს მშრომელი რესპუბლიკის სახელს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წარმატებანი სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, ...

[illegible]

... ციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის აფხაზეთის დაჯილდოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ჩვენი მრავალეროვანი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელის წარმატებაა.

მოძმე ხალხების ერთიან ოჯახში ყველა ამოცანას გადავწყვეტთ და ვერავითარი სიძნელე ვერ შეგვაშინებს. სასიხარულო მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე ...

... სტრიის მთელი რიგი დარგები — სათბობ-ენერგეტიკული, მანქანათსაშენებელი და ქიმიური, საშენი მასალების, ხელსაწყოთსაშენებელი, მსუბუქი და კვებისა. ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა, 1940 წელთან შედარებით, 12-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ნამდვილად გიგანტურ აღმავლობას განიცდის აფხაზეთის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, რასაც მჭევრმეტყველურად მოწმობს სოფლის მეურნეობის მთელ რიგ ძირითად სახეობათა ...

პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ზრდა.

[illegible]

საბჭოთა აჭარის სიმაღლეები

ვ. რ. პაპუნიძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

საბჭოთა კავშირის მიერ სამოცი წლის მანძილზე განვლილი გზა მთელი ეპოქაა, აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა. აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელები სიამაყით ავლებენ ...

[illegible]

ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა ჰენგ სამრინს

24 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ჰენგ სამრინს.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის თანამშრომლობის განვითარებისა და ზოგიერთი საერთაშორისო საკითხის გამო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და კამპუჩიის გარშემო შექმნილ ვითარებას. ამასთან დაკავშირებით ი. ვ. ანდროპოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ადამიანები უცვლელად სოლიდარობენ კამპუჩიელ ხალხს, რომელიც წარმატებით მიდის ეროვნული აღორძინების გზით.

შეხვედრამ მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

25 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო საქართველოში მყოფი სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი ა. ე. კარპოვი.

გულთბილი, გულითადი საუბრის დროს შეეხნენ საქართველოში ჭადრაკის განვითარებას, აღნიშნეს, თუ რა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა, რომლებმაც ჭადრაკის სამყაროს ყველა მწვერვალი დაიპყრეს.

ა. ე. კარპოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადება მორიგი მატჩისათვის მსოფლიო ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად.

ე. ა. შევარდნაძემ ა. ე. კარპოვს უსურვა ახალი შესანიშნავი მიღწევები საბჭოთა საჭადრაკო სკოლის სასახელოდ, დიდი ბედნიერება და წარმატებანი პირად ცხოვრებაში.

ე. ა. შევარდნაძემ ა. ე. კარპოვს მიართვა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" სამახსოვრო წარწერით.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი გ. ვ. ბედინეიშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. გოგლიძე.

(საქინფორმი).

საქმეზე გამორჩინა

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის საქსოვ-საგალანტერეო ფაბრიკის ერთ-ერთ მოწინავე მქარგავს ქეთევან გრძელიძეს. იგი ამ საწარმოში მოვიდა კომკავშირული საგზურით საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ და თავდადებული შრომით, საქმისადმი პასუხისმგებლური მიდგომით კოლექტივში კარგი ავტორიტეტი მოიხვეჭა. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომკავშირელი გოგონა ტოლს არავის უდებს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

უდიდესი გარდაქმნების წლები

ფ. ს. სანაკოევი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

სსრ კავშირის ისტორია — ეს არის მისი დროშით შეკავშირებული ყველა რესპუბლიკის, ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა და ნამდვილი აყვავების ისტორია. ეს არის მათი ურღვევი ერთიანობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ისტორია. როგორც მოსკოვში გამართულ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, ეს მეგობრობა ჩვენი ფასდაუდებელი მონაპოვარი, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი სოციალისტური მონაპოვარია.

... ლოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო დიდი ეკონომიკური, სოციალური გარდაქმნები.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეული წარმატებანი საშუალებას იძლევა ნიადაგ მაღლდებოდეს ოლქის მოსახლეობის ცხოვრების დონე. მაგალითად, 1972 წლის შემდეგ განვლილ პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 27,7 პროცენტით, ერთიორად და მეტად გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

„ხუთწლედის მატიანის" 1982 წლის პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის პრემია „ხუთწლედის მატიანე":

ლიტერატურის დარგში:

კარლო რაჟდენის ძე კალაძეს — პოეტს — უკანასკნელი წლების ლექსებისათვის.

კოსტა ოსების ძე მარღიევს — პოეტს — უკანასკნელი წლების ლექსებისათვის.

მუსიკის დარგში:

ვაჟა შალვას ძე აზარაშვილს — კომპოზიტორს — უკანასკნელ ორ წელიწადში შექმნილი კამერული ნაწარმოებებისა და სიმღერებისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში:

თენგიზ ივანეს ძე ცხონდიას — მხატვარს — 1980-1982 წლებში შექმნილი ფერწერული ტილოებისათვის: „ოსტატი", „შთამომავლობა", „წითელი სახლი".

კინოხელოვნებისა და ტელევიზიის დარგში:

ავთანდილ კონსტანტინეს ძე ხუჭუას — სცენარისტს; მიხეილ აპოლონის ძე ცისკარიშვილს — თანაავტორს, მთავარ კონსულტანტს; ოთარ ხოფრომის ძე გურგენიძეს — კინორეჟისორს; ელდარ ხერაპიონის ძე ვაწაძეს — კინოოპერატორს — სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ენგურის ეპოპეის" შექმნისათვის.

თეატრალური ხელოვნების დარგში:

გაიოზ ვუკოლის ძე ჟორდანიას — რეჟისორს — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრსა და სოხუმის სახელმწიფო ქართულ დრამატულ თეატრში ნ. დუმბაძის პიესის „მარადისობის კანონის" დადგმისათვის.

პუბლიცისტიკის დარგში:

ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძეს — 1980-1982 წლებში საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიცისტური სტატიებისათვის.

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩერქეზიშვილს, გივი იროდიონის ძე ფაცურიას, მიხეილ ალექსანდრეს ძე გულიევს, ალექსანდრე იოსების ძე ფრიდმანს — პუბლიცისტური წიგნებისათვის „ხალხის შუაგულში" (1981 წ.) და „გარდატეხა" (1982 წ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

სსრ კავშირის 60 წლისთავი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა

პარტიული ორგანიზაციები ყველგან უწევენ პროპაგანდას და განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებას, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის დოკუმენტებსა და მასალებს. პარტიული სწავლების სისტემაში მათი ღრმად შესწავლის მიზნით რეკომენდებულია მოეწყოს ორი მეცადინეობა შემდეგი სანიმუშო გეგმის მიხედვით.

განვლილი გზის შედეგები და ეროვნული პოლიტიკის ამოცანები

სსრ კავშირის შექმნა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარდამტეხი მომენტია. მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურასთან, საკუთრების გაბატონებულ ტიპთან ეროვნული საკითხის ორგანული კავშირის შესახებ. ერთა თვითგამორკვევის უფლება მათი ნებაყოფლობითი შეკავშირების იდეურ-პოლიტიკური საფუძველი, ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ღერძია. სოციალისტური ფე...

...ვა. ქვეყნის მრავალეროვანი შემადგენლობის გადაქცევა მისი სისუსტის წყაროდან ძალისა და აყვავების წყაროდ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში.

სოციალისტური ერების სულ უფრო მჭიდრო დაახლოება განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ყოველი რესპუბლიკის შეუცვლელი წვლილი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობაში. ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარება. ხალხთა ლენინური მეგობრობა სოციალიზმის დიადი მონაპოვარია. რუსი ხალხის უანგარო ძმური დახმარება სხვა ხალხებისადმი, ყველა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყ...

[illegible]

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები!

შემოქმედებითად თუ მიუდგებით

[illegible]

პარტიული ცხოვრება: რიტმი და სასურველი პროგრამა

[illegible]

ვისწავლოთ კულტურას

მოყვანის კულტურა

[illegible]

მთავარია კომპლექსური მექანიზაცია

[illegible]



ინახეთ ჩვენებური „პეფსი-კოლა“



[illegible]

პროფესორ ვ. მელქაძის დაბადების 70 წლისთავის გამო

გამოჩენილი მეცნიერი-ეკონომისტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვალერიან მელქაძე ადრე წავიდა ჩვენგან — სამოცდაათ წელსაც ვერ მიაღწია. მისი სახით ქართველ სწავლულთა რიგებს გამოაკლდა ღრმად ერუდირებული მრავალმხრივი მკვლევარი, რომელსაც კიდევ ბევრი შეეძლო გაეკეთებინა საბჭოთა ეკონომიკის მეცნიერების წინსვლისათვის.

ვალერიან ერაკლის ძე მელქაძის ბიოგრაფია ტიპურია მისი თაობის ქართველი საბჭოთა მეცნიერების დიდი უმრავლესობისათვის. იგი დაიბადა 1912 წლის 18 დეკემბერს მშრომელი გლეხის ოჯახში დღევანდელი სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში. 1931 წელს ვ. მელქაძე ამთავრებს სამტრედიის პედაგოგიურ ტექნიკუმს და იწყებს მუშაობას სოფელ კულაშში — განაგებს ქოხ-სამკითხველოს, ხელმძღვანელობს კომკავშირის სასოფლო ორგანიზაციას და ამავე დროს ისტორიას ასწავლის შვიდწლიან სკოლაში.

1931 წელს ვ. მელქაძე შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 1937 წელს წარჩინებით ამთავრებს მას. პერსპექტიულ ახალგაზრდა სპეციალისტს უნივერსიტეტის რექტორატი ტოვებს იქვე პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ასპირანტად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, 1938 წლის თებერვალში სხვა ახალგაზრდებთან ერთად ვ. მელქაძე იგზავნება მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1941 წლის მარტში ამთავრებს ასპირანტურას და იცავს საკანდიდატო დისერტაციას. იმავე წელს და იმავე თვეში ვ. მელქაძეს პარტიის წევრად იღებენ.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ახალგაზრდა მეცნიერს პარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორად ნიშნავენ, მაგრამ ამ სამუშაოზე მან სულ სამი თვე დაჰყო. 1941 წლის ივლისიდან ვ. მელქაძე წითელი არმიის რიგებშია. აქ იგი გადის პოლიტმუშაკთა მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებს და იგზავნება არმიის მოქმედ შენაერთებში, სადაც იბრძვის ჯერ როგორც ბატალიონის პარტორგი, ხოლო შემდეგ როგორც საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. არმიის სარდლობამ იგი წითელი ვარსკვლავისა და I და II ხარისხის სამამულო ომის საბრძოლო ორდენებით და რამდენიმე მედლით დააჯილდოვა.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ორი წლის მანძილზე ვ. მელქაძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1948 წლის მაისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, იგი პარტიის თბილისის კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ ინიშნება. ამ თანამდებობიდან ცენტრალური კომიტეტი მას ქუთაისის საოლქო კომიტეტის მესამე მდივნად აწინაურებს. 1952 წლის მაისიდან 1955 წლის სექტემბრამდე ვ. მელქაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს — ცენტრალური კომიტეტის მდივნად, შემდეგ მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ. 1955-1958 წლებში ვ. მელქაძე ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი პარტიული სკოლის დირექტორია.

უკანასკნელი მისი თანამდებობა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში — ეს იყო რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის პოსტი, სადაც მან თითქმის ორ წელიწადს იმუშავა.

1960 წლის ივნისში ვ. მელქაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს და ამ დროიდან მთლიანად სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე გადავიდა.

1963 წლის იანვარში რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შესახებ, და ახალი სამეცნიერო დაწესებულების დირექტორად ვ. მელქაძე ინიშნება. ამ დროიდან იწყება ვ. მელქაძის დაუცხრომელი მუშაობა ინსტიტუტის ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, მისი პრობლემატიკის გაფართოებისა და სრულყოფისათვის.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაობის დიდმა გამოცდილებამ და პირადმა ნიჭიერებამ განაპირობა ვალერიან მელქაძის მეცნიერების უნარიან ორგანიზატორად ჩამოყალიბება. ვ. მელქაძის მეცნიერული ალღოს წყალობით ინსტიტუტმა თავიდანვე მონახა საკუთარი ადგილი ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებათა შორის. მისი მთავარი ამოცანა გახდა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემათა კვლევა გრძელვადიანი პერიოდისათვის და ამის საფუძველზე საგეგმო კომიტეტისათვის მეცნიერულად დასაბუთებული საგეგმო მასალების მომზადება. საქართველოს ინდუსტრიული პოტენციალის სწრაფი ტემპით ზრდა, მისი სახალხო მეურნეობის საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენის მოკლე ვადაში დაძლევა — ასეთი პრინციპები დაედო საფუძვლად ინსტიტუტის გამოკვლევებს ამ მიმართულებით.

პროფესორი ვალერიან მელქაძე ეკონომიკური პრობლემების ორიგინალური და დაუღალავი მკვლევარი იყო. თუმცა მის სპეციალობას უპირატესად პოლიტიკური ეკონომია შეადგენდა, იგი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა წმინდა თეორიული დადგენით და ყოველთვის ეძებდა კვლევით მიღებული შედეგების პრაქტიკაში გამოყენების გზებს. აქედან მომდინარეობდა მისი ღრმა მეცნიერული ინტერესი ისეთი პრობლემებისადმი, როგორიც არის ეროვნული შემოსავლის წარმოების, გამოთვლისა და განაწილება-გადანაწილების პრობლემები სოციალისტურ საზოგადოებაში და, კერძოდ, მოკავშირე რესპუბლიკებში. აქედან მომდინარეობდა მისი შეუნელებელი ინტერესი მეურნეობის გაძღოლის მეცნიერული მეთოდების შემუშავებისა და სრულყოფისადმი. და ბოლოს, აქედან მომდინარეობდა მისი გატაცება რეგიონალური ეკონომიკის პრობლემებით, რომელთა კვლევას მან დაუდო სათავე ჩვენს რესპუბლიკაში.

მაღალ თეორიულ დონესთან ერთად ვ. მელქაძის ნაშრომებს ახასიათებს პრაქტიკული მიმართება. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მის მთელ მეცნიერულ მემკვიდრეობაში ვერ შეხვდებით ეკონომიკურ ცხოვრებას მოწყვეტილ მშრალ მსჯელობებს.

ვალერიან მელქაძემ ღრმა კვალი გაავლო ქართულ საბჭოთა ეკონომიკურ აზროვნებაში, საგულისხმო მეცნიერული გამოკვლევებით წინ წასწია ქართული საბჭოთა ეკონომიკის მეცნიერება. მაგრამ ამ მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, მისი ცოცხალ საქმესთან დაახლოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მისი ხელმძღვანელობით მტკიცე ნიადაგზე დადგა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი — გამოყენებითი და რეგიონალური ეკონომიკის დარგში კვლევის მძლავრი ცენტრი რესპუბლიკაში. 80-მდე კაცი მუშაობდა 1963 წელს იმ სამეცნიერო უჯრედში, საიდანაც ეს ინსტიტუტი განვითარდა, მათგან — სულ ათიოდე მეცნიერებათა კანდიდატი. ახლა ინსტიტუტში მუშაობს 550-მდე კაცი, მათგან 6 მეცნიერებათა დოქტორი და 68 კანდიდატია. ინსტიტუტი ფართოდ განშტოებულ სამეცნიერო ორგანიზაციად იქცა — მას 11 განყოფილება აქვს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, რეგიონებში.

ინსტიტუტის ასეთი ზრდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღებისა და დახმარების შედეგია, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამ საქმეში დიდია ვ. მელქაძის ღვაწლი, ვინაიდან დახმარებას გამოყენება უნდა, რასაც, სამწუხაროდ, ყველა ვერ ახერხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, რომელმაც საფუძვლიანად განიხილა რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანები, საჭიროდ ცნო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილის შეცვლა — მისი სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გარდაქმნა. თუ ინსტიტუტი შედარებით უმტკივნეულოდ გადადის ახალ პრობლემატიკაზე, ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იგი აერთიანებს კვალიფიციურ და საქმის ერთგულ მკვლევართა კადრებს, რომელთა შერჩევაში, აღზრდასა და მტკიცე მეცნიერულ კოლექტივად ჩამოყალიბებაში, როგორც ვთქვით, დიდია ვალერიან მელქაძის დამსახურება.

ვალერიან მელქაძის პირადი თვისებებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი უკომპრომისო, ბოლშევიკური პრინციპულობა. იგი სიმართლის ნამდვილი რაინდი იყო. ქართველი მეცნიერების უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ პრინციპულობით დაიცვა მან 1952 წელს ფსიქოლოგთა უზნაძისეული სკოლა, ფილოსოფიის ინსტიტუტი...

ვ. მელქაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარე მისი დაარსების დღიდან, მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საწარმოო ძალთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის წევრი.

გამოჩენილმა მეცნიერმა, მგზნებარე პატრიოტმა ვალერიან მელქაძემ პარტიისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილმა დაასრულა თავისი ცხოვრების გზა. მისი საქმე და სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული საბჭოთა მეცნიერების ისტორიაში.

ა. ჩარკვიანი.

მშვიდობასა და ხალხთა კეთილდღეობაზე ფიქრით

სსრ კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი მოსკოვში ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. პლანეტის ყოველ კუთხეში ადამიანთა მრავალმილიონიანმა მასებმა ჩვენს ხალხთან ერთად მღელვარებითა და უდიდესი ინტერესით ადევნეს თვალყური სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მკაფიო, ღრმაშინაარსიანი მოხსენება. საერთაშორისო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო სხდომაზე მიღებულმა მიმართვამ მსოფლიოს პარლამენტების, მთავრობების, პოლიტიკური პარტიებისა და ხალხებისადმი.

ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია, წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო", გამსჭვალულია მსოფლიოს ბედის, მთელი კაცობრიობის მშვიდი და ბედნიერი მომავლისათვის სსრ კავშირის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. მოხსენებაში უაღრესად ზუსტადაა განსაზღვრული ის მთავარი, რაზეც საჭიროა მორიგება დედამიწის ყველა ადამიანის ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირის მოწოდებებს, ხაზს უსვამს „რუდე პრავო", ჩეხოსლოვაკიაში მხურვალედ ეხმაურებიან.

„მსოფლიოს წერილს" უწოდებს ფრანგული „ლუმანიტე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას. ლონდონის „მორნინგ სტარი", რომელიც ბეჭდავს ამ დოკუმენტის შინაარსს, აღნიშნავს: მტკიცე, საიმედო, მყარი მშვიდობა ყველა ადამიანის, ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის პირველი და ყველაზე აუცილებელი მოთხოვნაა.

ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება კვლავ დამაჯერებლად ცხადყოფს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას შეინარჩუნოს და განამტკიცოს მშვიდობა, თავიდან აიცილოს ბირთვული კატასტროფა, წერს დანიური „ლანდ ოგ ფოლკი". კოპენჰაგენის მეორე გაზეთი „ინფორმაშონი" განმარტავს: „ახალი საბჭოთა ინიციატივები იმედს გვინერგავს, რომ ევროპა შეიძლება განთავისუფლდეს ბირთვული რაკეტებისა და „პერშინგ-2" რაკეტებისაგან.

ბრაზილიური „გლობუ" — ძირითადად ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირის მზადყოფნას მოილაპარაკოს იმის თაობაზე, რომ მხარეებმა პირველებმა არ იხმარონ არა მარტო ბირთვული, არამედ ჩვეულებრივი იარაღიც.

ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება აღნიშნავს იაპონური „მაინიჩი", სერიოზულად აფრთხილებს შეერთებულ შტატებს, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ ჯიუტად ახორციელებს შეიარაღების ზრდის გეგმებს. „ახაჰი" დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას.

25 დეკემბერი

საერთაშორისო დღედამის ზურგზე სპორტი

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

საბჭოთა კავშირის დღეების წარმატება

პარიზი. მილიონზე მეტმა ფრანგმა დაათვალიერა ქართული ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა და თბილისელი ნორჩი მხატვრის რუსიკო ფეტვიაშვილის ნახატების გამოფენა. 1982 წლის ბოლო კვირებში ეს გამოფენა ექსპონირებული იყო საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში, კერძოდ, პარიზში, ეპინალში, ორლეანში, ბორდოში, ანგულემში, პა-დე-კალეში. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს არა მარტო ექსპოზიციების მაღალ მხატვრულ ღირსებებს, არამედ მათ მნიშვნელობასაც საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. როგორც გამოფენის გახსნისას ეპინალის მერმა პიერ ბლანკმა განაცხადა, ეს ექსპოზიციები „ემსახურება საერთაშორისო ურთიერთობის პროგრესს, იმიტომ, რომ სხვა ხალხთან დაახლოებისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი — ეს მშვიდობის ჟესტია".

ქართული გამოფენები საფრანგეთში საბჭოთა კავშირის დღეების ვრცელი პროგრამის მრავალრიცხოვან ღონისძიებათაგან ერთ-ერთი იყო, რომლებსაც ყოველწლიურად აწყობს „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოება. ტრადიციისამებრ სსრ კავშირს ამ დღეებზე წარმოადგენს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს 60 წლისთავის წელს ამ საპატიო მისიას ასრულებდა საბჭოთა საქართველო.

საფრანგეთის მთელ რიგ მუზეუმებში გამოფენილი იყო ძველი ქართული ხელნაწერები და მინიატურები, ბევრი ქალაქის კინოთეატრებში უჩვენებდნენ თბილისის კინოსტუდიის მიერ შექმნილ კინოფილმებს, მოეწყო ქართველ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. პარიზის რაიონის — ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო ცენტრ — „ბელ-ეპინში" — ნაჩვენები იყო თბილისის მოდელების სახლის მოდების ნიმუშები, რომლებმაც როგორც ფართო საზოგადოების, ისე სპეციალისტ მოდელიორთა ყურადღება მიიპყრეს.

მაგრამ, ალბათ, საფრანგეთის მიწა-წყალზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლისა და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ფაზისის" გამოსვლებმა. „ნამდვილი ტრიუმფი" უწოდეს მათ კონცერტებს ფრანგულმა გაზეთებმა. ქალაქ ბურჟში მსახიობების გამოსვლის შემდეგ ადგილობრივი გაზეთი წერდა: „ჩვენ ვიხილეთ უნიჭიერესი მსახიობების მიერ შესრულებული ფანტასტიკური სპექტაკლი. მათ აქვთ გასაოცარი უნარი მოაჯადოვონ მაყურებელი თავისი ცეკვების სწრაფი რიტმით, მოხიბლონ თავისი სიმღერებით".

მას შემდეგ, რაც ქართველმა მოცეკვავეებმა და მომღერლებმა მოიარეს სამხრეთ საფრანგეთი, ვოკლუზის დეპარტამენტის ერთ-ერთმა გაზეთმა „გრან-კარპანტრამამ" დაწერა: „ქართველმა მსახიობებმა გვიჩვენეს მაღალი ოსტატობა, რომელიც ხოტბასასხამს ჰუმანიზმს, სიყვარულს, მეგობრობას, თავისუფლებას, სამართლიანობას და მშვიდობისაკენ სწრაფვას, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების მთავარი არგუმენტებია".

თანამშრომლობა გარემოს დაცვაში

სოფია. ბულგარეთში იმყოფებოდა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დელეგაცია მისი თავმჯდომარის ვ. ი. კაჭარავას მეთაურობით.

საბჭოთა სტუმრები შეხვდნენ და ესაუბრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გარემოს დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობას, გაეცნენ ამოცანებს, რომლებსაც ბულგარეთი წყვეტს ბუნების დაცვის დარგში. დელეგაცია ეწვია აგრეთვე მცენარეული სამყაროს ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ მცენარეთა დაცვის, წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხებზე.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ფილიპოვმა მიიღო დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. კაჭარავა.

შეხვედრაზე, რომელმაც გულითად მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან და ამ დარგში თანამშრომლობის გაფართოებასთან. შეხვედრას დაესწრო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გ. პავლოვი.

ფოტოკალეიდოსკოპი

● საჭიროა სრულყოთ ველოსიპედი — მას წყალზეც უნდა შეეძლოს სვლა. ამ აზრისა არიან ახალ სახეობათა ტრადიციული სატრანსპორტო საშუალებების დაუცხრომელი გამომგონებლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შვეიცარიაში, ლუცერნის მახლობლად, ფირვალდშტეტერზეეს ტბაზე გამართულ საწყლოსნო-სათხილამურო-საველოსიპედო სპორტის პირველ საერთაშორისო ჩემპიონატში (სურათზე).

● შვეიცარიელ მებადურს ული მატუსიკს მართლაც აქვს სატრაბახო — მას და მის მეგობარს თეო ნოტერს დიდი წვალებით ერთ საათს ამოჰქონდათ ნავზე ეს უზარმაზარი ქარიყლაპია. მისი სიგრძეა 1,34 მეტრი, წონა — 18,5 კილოგრამი. იგი დაიჭირეს ციურიხის მახლობლად განლაგებულ გრაიფენზეეს ტბაზე.

კეისტონ-საქდესის ტელეფოტო.

● იტალია. რომში ყველაზე ცნობილია ტრევის შადრევანი, რომელსაც ფართო რეკლამას უწევენ ტურისტული კომპანიები. ეს არის უზარმაზარი აუზი და გიგანტური მარმარილოს კომპლექსი, რომელზეც გამოსახულია ზღვის ღვთაებანი და ზღვის ცხოველები. ტრევის შადრევანი 200 წლისაა.

ბ. კლიპინიცერის ფოტო (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. ვაშინგტონი აშკარად აქეზებს და ხელს უწყობს თელ-ავივის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს ლიბანში, თეთრი სახლი სხვადასხვა ხრიკებს მიმართავს, რათა ისრაელის სიონისტურ ხელმძღვანელობას ეფექტიანი დახმარება გაუწიოს მისი აგრესიული მიზნების მიღწევაში, ნათქვამია ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

საყოველთაოდაა ცნობილი ამერიკის ადმინისტრაციის ტაქტიკა, აღნიშნულია დოკუმენტში. შეერთებული შტატები, რომელიც საქვეყნოდ გაჰყვირის ლიბანის პრობლემის მოწესრიგებაში თითქოსდა მიღწეულ „პროგრესზე". ლიბანზე ახდენს ძლიერ ზეგავლენას, რათა თელ-ავივის სასარგებლოდ შეაცვლევინოს პოზიცია ყველა ძირეულ პრობლემაში.

განცხადებაში დაგმობილია ისრაელი, რომელიც უარს ამბობს გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანის ოკუპირებული ტერიტორიიდან. ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ბეგინის მთავრობის მიერ გამოთქმული „მზადყოფნა", დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხზე, მიიჩნია ტაქტიკურ მანევრად, რომლის მიზანია ლიბანის ხელისუფალნი აიძულოს იმოქმედონ ვაშინგტონისა და თელ-ავივის მიერ შემუშავებული გეგმით.

ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა იმას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიკავონ მტკიცე პოზიცია, რომელიც შეესაბამება ლიბანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენის საქმეს და მოითხოვა ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან ისრაელის ინტერვენციონისტული ჯარების მთლიანად და უპირობოდ გაყვანა.

ახალი წლის წინ ოკუპანტები განაგრძობენ თვითნებობასა და თარეშს ლიბანის მიტაცებულ სამხრეთ რაიონებში. ისრაელის ჯავშანსატანკო ნაწილებმა გუშინ ალყა შემოარტყეს ქალაქ საიდაში ლიბანის არმიის ყაზარმის შენობას. ისრაელები შეიჭრნენ შენობაში, მოაწყვეს ჩხრეკა, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს ადგილობრივი გარნიზონის უფროსი პოდპოლკოვნიკი შ. ეიდა და კიდევ ერთი ლიბანელი სამხედრო მოსამსახურე. ორივე დაპატიმრებული გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. რამდენიმე დღით ადრე კი „უშიშროების უზრუნველყოფის" გაცვეთილი საბაბით ინტერვენტებმა ძალით დაიკავეს საიდის გუბერნატორის რეზიდენცია.

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა აღმოსავლეთ რაიონებში და ბეირუთის მახლობელ სანაპიროზე, სადაც აგრეთვე თვითნებობენ ისრაელის ჯარები.

დააპატიმრეს გენერალი

რომი. შვიდი წლის პატიმრობა მიუსაჯა ტურინის სისხლის სამართლის სასამართლომ იტალიის საფინანსო გვარდიის ყოფილ სარდალს გენერალ რაფაელე ჯუდიჩეს, რომელსაც ბრალად დაედო მაქინაციები, ყალბი დოკუმენტების შედგენა, კორუფცია და სხვა დანაშაულობანი. გენერალი, რომელიც მეთაურობდა ფინანსურ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ კორპუსს, გარეული ამოიჩნდა იტალიაში 1980 წელს მომხდარ „ნავთობის სკანდალში".

ჯუდიჩესთან ერთად სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა კიდევ რვა კაცს, რომელთა შორის არიან ნავთობმრეწველები, საბაჟოს თანამშრომელი. 1972-76 წლების მანძილზე მათ აპენინზე მოაწყვეს ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლეოდა არ გადაეხადათ მთელი რიგი გადასახადები და ბაჟი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი ანასტასია (ანა) ილიას ასული ალლაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე პროფესორი დავით ზაქარიას ძე ავაზაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლევან იასონის ძე ფანჩულიძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სტალინგრადის ბრძოლის 40 წლისთავისათვის

მფრინავის უკვდავება

ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში დგას შინმოუსვლელთა დიდების მემორიალი. ობელისკი თაობიდან თაობას გადასცემს სამშობლოსათვის დაღუპულთა სახელებს. მემორიალის თავზე გამოკვეთილია მფრინავ ნიკოლოზ აბრამიშვილის სახე. იგი გამორჩეული იყო ბრძოლაში — გამორჩეულია აქაც. პარტიამ და მთავრობამ, მისმა აღმზრდელმა კომკავშირმა მიაგეს ეს პატივი სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლებს.

სტალინგრადის დაცვისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში დაიფერფლა სამამულო ომის ლეგენდარული მებრძოლის, 23 წლის მფრინავის, ესკადრილიის უფროსის, კაპიტან ნიკოლოზ აბრამიშვილის სიცოცხლე.

არ ჩაივლის დღესასწაული, რაიმე შეკრება, რომ სამშობლოსათვის თავდადებულნი არ გაიხსენონ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავის ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ თქვა: „ეროვნულ ფარგლებს გასცდა და მთელი ხალხის სალოცავად და საამაყოდ იქცა იმათი სახელი, ვინც შესანიშნავი მზიური საქართველოდან ეზიარა უკვდავებას, ვინაიდან ალექსანდრე მატროსოვისა და ვლადიმერ ფაჩულიას, ზოია კოსმოდემიანსკაიასა და ზოია რუხაძის, ნიკოლოზ გასტელოსა და ნიკოლოზ აბრამიშვილის გმირობის სათავე ერთია, ომის ძნელბედობამ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახადა ჩვენი ღვიძლი ერთიანობა, განსაკუთრებით მტკიცე ჩვენი ძმობა".

საამაყოა ნიკოლოზ აბრამიშვილის ვაჟკაცობა, მისი თავგანწირული გმირობა. ნიკოლოზის მხრებზე გადაიარა ომის ყველაზე უმძიმესმა წლებმა. იგი იბრძოდა 1941 წლის 22 ივნისიდან 1942 წლის 30 ნოემბრამდე და რიგითი მფრინავი ესკადრილიის მეთაური გახდა. ოთხჯერ დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არც ერთხელ არ გამოსულა, თავისი ნაწილი არასოდეს მიუტოვებია. მისი თავდადებული და ერთგული სამსახური აღინიშნა ორი წითელი დროშის ორდენით.

იმ ბედუკუღმართ დღეს, 1942 წლის 30 ნოემბერს, მეთხე ჭრილობა ჯერ კიდევ მთლიანად მოშუშებული არ ჰქონდა, რომ საბრძოლო გაფრენაში მონაწილეობის ნებართვა გამოითხოვა და, როგორც იყო, მიაღწია საწადელს, სათავეში ჩაუდგა თავის ესკადრილიას.

ესკადრილიამ მიიღო საბრძოლო დავალება — იერიში მიეტანა მტრის აეროდრომზე. საბჭოთა მფრინავების გამოჩენას გაფთრებით შეხვდნენ, მიწიდან ცეცხლი დაუშინეს, მაგრამ მოიერიშე მფრინავების შეჩერება არაფერს შეეძლო. ესკადრილიის მეთაურმა და მისმა მებრძოლებმა მრავალი „ჩირაღდანი" აანთეს აეროდრომზე, სადაც 60-ზე მეტი თვითმფრინავი იყო თავმოყრილი. და აი, უეცარმა დარტყმამ შეარყია ნიკოლოზ აბრამიშვილის თვითმფრინავის მოტორი, მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. მფრინავმა გადაწყვიტა: თუ სიკვდილია, გმირული იყოს... აალმოდებული გამანადგურებელი აეროდრომზე თავმოყრილ მტრის თვითმფრინავებში შეიჭრა, გაანადგურა მისი დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

ასე გაიმეორა ნიკოლოზ აბრამიშვილმა ნიკოლოზ გასტელოს გმირობა. ქართველი მფრინავი ვოლგისპირა ქალაქის დაცვისათვის დაიღუპა, უკვალოდ არ ჩაუვლია მის გმირულ სულისკვეთებას. საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში გამარჯვება მოიპოვა, სამშობლო იხსნა ვერაგი მტრისაგან — ნიკოლოზის ოცნებაც ხომ ეს იყო.

აბრამიშვილის საბრძოლო წარმატებებზე 1942 წელს ბევრს წერდა საფრონტო პრესა. „სტალინეც კრილიამი", „კრილატი ბოგატირსა" და სხვა გაზეთებში არაერთი წერილია გამოქვეყნებული მისი თავდადებული ბრძოლების თაობაზე.

1942 წლის 21 აგვისტოსათვის, როცა კომუნისტური პარტიის რიგებში იღებდნენ, ნიკოლოზ აბრამიშვილს მტრის 10 თვითმფრინავი ჰქონდა ჩამოგდებული. ბრძოლებით გამოვლო ჩრდილო-დასავლეთის, ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები. იცავდა ლენინგრადს, დნეპროპეტროვსკს, მოსკოვს, კალაჩსა და სტალინგრადს. პირველი თვითმფრინავი მან 1941 წლის 26 აგვისტოს ლენინგრადის დაცვისათვის ბრძოლაში ჩამოაგდო, ფრიადოსანი მფრინავი ასეთი წარმატებებისათვის ჩარიცხეს სტალინგრადის მეათე გვარდიულ წითელდროშოვან, მეორე ხარისხის სუვოროვის ორდენოსან ავიაგამანადგურებელ დივიზიაში, რომლის ყოფილი მეთაური, გადამდგარი გენერალ-მაიორი ა. ა. ჟუკოვი წერდა: „ნიკოლოზ აბრამიშვილმა ცოტა ხანს იცოცხლა, მაგრამ იცხოვრა ნათელი ცხოვრებით და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულად ემსახურებოდა პარტიას, ხალხს, სოციალისტურ სამშობლოს".

ამ დღეებში ორმოცი წელი შესრულდა ესკადრილიის უფროსის ნიკოლოზ აბრამიშვილის გმირული დაღუპვიდან. მისი ცხოვრება მთლიანად უკავშირდება სტალინგრადის დაცვის გმირულ ეპოპეას.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული, მარადიული ხსოვნის შარავანდედი მოსავს სტალინგრადის ეპოპეის გმირთა კოჰორტის წარმომადგენელს ნიკოლოზ აბრამიშვილსაც.

ნ. ნორაკიძე.

სურათებზე: ზემოთ — მფრინავი ნ. აბრამიშვილი; ქვემოთ — შინმოუსვლელთა დიდების მემორიალი ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში.



პლენუმმა მუშაობა დაამთავრა

დამასკო. აქ მუშაობა დაამთავრა არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

მან განიხილა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის საკითხები, დიდი ყურადღება დაუთმო ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შემდეგ არაბულ სამყაროში შექმნილ ვითარებას, იმსჯელა სირიის როლზე არაბი ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვაში. პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სირია არ გადაუხვევს პრინციპულ და თანამიმდევრულ პოზიციას იმ გეგმებისადმი წინააღმდეგობის საქმეში, რომლებსაც ახორციელებენ იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის ძალები, ეს ძალები ცდილობენ დღის წესრიგიდან მოხსნან და დავიწყებას მისცენ ახლო აღმოსავლეთის მთავარი პრობლემა — პალესტინის პრობლემა. პლენუმზე მიღებულ შემაჯამებელ განცხადებაში ხაზგასმულია, თუ რაოდენ საჭიროა განმტკიცდეს სირიის ურთიერთობა სსრ კავშირთან ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან.

მეფე ჰუსეინის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი. დამთავრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში იორდანიის მეფე ჰუსეინის ოფიციალური ვიზიტი. მან გამართა მოლაპარაკება პრეზიდენტ რეიგანთან, ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშთან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან და თავდაცვის მინისტრთან კ. უაინბერგერთან.

როგორც თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები იუწყებიან, მოლაპარაკებაზე მთავარი ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის ვითარებას, და კერძოდ, რეიგანის ეგრეთ წოდებულ „საახლოაღმოსავლეთო გეგმას". ოფიციალურმა ვაშინგტონმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინა იორდანიის მეფეზე და შეეცადა დაეყოლიებინა იგი მხარი დაეჭირა ამერიკის „ინიციატივისათვის", რომელიც არაბულ სამყაროში სამართლიანად მიაჩნიათ სეპარატული კემპ-დევიდის გარიგების მხოლოდ შელამაზებულ ვარიანტად, რომელსაც საერთო არა აქვს რა რეგიონში შექმნილი ვითარების ნამდვილ მოწესრიგებასთან. როგორც პრესკონფერენციაზე ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა აღიარა, თეთრ სახლს სურს, რომ ავტორიტეტიანი იორდანია ვაშინგტონის „საახლოაღმოსავლეთო გეგმის" რეალიზაციის მონაწილეთა რიცხვში იყოს.

ამერიკის მხარემ ნაცადი „მუქარისა და დაყვავების" ტაქტიკას მიმართა. იორდანიისათვის შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, „ფ-16" ტიპის გამანადგურებელ ბომბდამშენების მიყიდვის საკითხი პირდაპირ დაუკავშირეს ამერიკის შეერთებული შტატების „საახლოაღმოსავლეთო გეგმისადმი" ჰუსეინის უსიტყვო მხარდაჭერას.

მაგრამ ზეგავლენის ტაქტიკამ სასურველი ნაყოფი არ გამოიღო. როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა პრესკონფერენციაზე, მეფე ჰუსეინს არ უთხოვია ამერიკისათვის იარაღის მიწოდება. გარდა ამისა, განმარტავს „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო" ჰუსეინმა, „როგორც ყველაფრიდან ჩანს, უარყო რეიგანის მოწოდება შეუერთდეს კემპ-დევიდის პროცესს".

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

სოფია. შრომითი წარმატებებით ამთავრებს მიმდინარე წელს ქალაქ სლივენის მანქანათმშენებელი ქარხნის „დინამოს" კოლექტივი. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ვადაზე ხუთი დღით ადრე შესრულდა მთავარი პარტნიორის — ტოლიატის ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის, აგრეთვე მინსკის, კრასნოდარის, რიაზანისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების საწარმოთა შეკვეთები.

დამასკო. სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი შეხვდა აქ ვიზიტად მყოფ არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურ მდივანს შადლი კლიბის. საუბრის დროს, იტყობინება სანას სააგენტო, განიხილეს არაბულ სამყაროში შექმნილი ვითარება ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის გამო და პალესტინის არაბი ხალხის მიმართ იმპერიალიზმისა და სიონიზმის მოქმედების გააქტიურება.

დელი. იატაკქვეშა სეპარატისტული დაჯგუფებანი განაგრძობენ დაძაბულობის გამწვავებას ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის ტრიპურის შტატში. როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ექსტრემისტთა დიდმა ბანდამ საფარიდან ცეცხლი დაუშინა ქალაქ კამალპურის მახლობლად გზატკეცილზე მიმავალ სამგზავრო ავტომობილს.

ბოლო სამი კვირის მანძილზე, აღნიშნავს ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო, სეპარატისტულმა დაჯგუფებებმა ტრიპურში მოაწყვეს ტერორისტული აქციების მთელი სერია.

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეამციროს ამერიკის შეერთებული შტატებიდან და „საერთო ბაზრის" ქვეყნებიდან შემოტანილი მრავალი სახეობის სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის საიმპორტო ტარიფები. ადგილობრივ პრესას მიაჩნია, რომ ამით იაპონიამ დააკმაყოფილა თავის დასავლელ სავაჭრო პარტნიორების მოთხოვნები, რომ უფრო ფართოდ გაუღოს ბაზარი მათ საქონელს.

დიდი მადლია იყო კომპოზიტორი

ბედნიერია კაცი, რომელმაც იცის, რისთვის ცოცხლობს, ცხოვრების აზრის სათავე იმთავითვე უპოვია და უბედნიერესია, თუ ამ სათავეს ბოლომდე მიჰყოლია და კვალიც არ გამრუდებია. კომპოზიტორი შოთა მილორავა ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. მის პიროვნებაში ისე გამთლიანებულა მუსიკოსხელოვნისა და მებრძოლი მოქალაქის ბუნება, რომ გიჭირს, კიდეც მათ შორის ზღვარის დადება. მართლაცდა, დიდი უნარია გესმოდეს შენი ხალხის გუ...

...თვლის... ვის არ ეხსომება „დედავ, მაღალო", შრომის გმირთა დღესასწაულზე რომ გაისმა პირველად ზუგდიდში და თამარ ყუფუნიას ქალობა ადიდა. განა მუშაკაცისადმი ჰიმნი არ იყო კონსტანტინე ილურიძისადმი მიძღვნილი კომპოზიცია სოლისტისა და გუნდისათვის ანსამბლ „რუსთავის" შესანიშნავი შესრულებით; ასეთივე ჰიმნი იყო „მეჩაიეთა სიმღერაც", „მეფოლადის სიმღერა" და კიდევ რამდენი. „სიმღერამ მასწავლებელზე" ჩომ ჭეშმარიტად სახალხო მასშტაბი მიიღო — 1000 კაცი ასრულებდა დღესასწაულზე და მასწავლებელთა ამასწინანდელ ყრილობაზეც კვლავ აჟღერდა შთაგონებულ სადიდებლად.

ჩვენი სინამდვილის რა საზოგადოებრივი მოვლენაც უნდა აესახა შოთა მილორავას, ეს ასახვა მუდამ ისეთივე წრფელი და გულით განცდილი იყო, როგორც მისეული ნათელი მელოდიზმი. ჟანრის ღრმა წვდომის და გამორჩეული ოსტატობის ნიშანი ედგბოდა ერთნაირად ყოველივეს, რასაც კი კომპოზიტორი გამოიტანდა ხალხთან თანაზიარობა-თანადგომისათვის. ასე დაიწერა საგუნდო კომპოზიცია მკითხველისა და ვაჟთა გუნდისათვის ვ. გოგოლაშვილის ტექსტზე, რომელიც...

შოთა მილორავას სიმღერის შესანიშნავ ოსტატად აღიარებენ ყველგან. რამდენი პრემია და ჯილდო მიუღია მას საკავშირო თუ სხვა კონკურსებზე — აღნუსხვა ძნელია. საუკეთესო საბჭოთა სიმღერის ფონდში შევიდა მისი „სიმღერა შრომაზე", „სიმღერა შოთა რუსთაველზე", ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საგუნდო სიმღერა „სადღესასწაულო", მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო ფესტივალისათვის დაწერილი საგუნდო სიმღერა, რომელიც პირველი პრემიით აღინიშნა და საქართველოს გაერთიანებული გუნდი ასრულებდა მრავალათასიან სტადიონზე ავტორის დირიჟორობით.

ლირიკული სიმღერა კი შ. მილორავას შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო სფეროა. ორი ათეული წლის წინათ აიტაცა ხალხმა და გაითავისა სიმღერები „არის ასეთი ქვეყანა", „ამოდუღდი მარგალიტო", „თოლია", „ჩქარა მოდი", „ჩემო კარგო", „კვლავ შენთან" და დღესაც დაუვიწყარ ჰანგებად შემორჩა ქართულ სასიმღერო კულტურას, დაუვიწყარ ფურცლებად ჩაიწერა ქართული ესტრადის ისტორიაში.

შოთა მილორავას მთელი ვოკალური შემოქმედება...

...ჟანრებამდე, რომელმაც სრულად გამოავლინა მისი ინდივიდუალობა. ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი დიდად არის დავალებული მილორავას მუსიკალური სპექტაკლებით. სულ 27 ოპერეტა დაიდგა თეატრის სცენაზე. ამ ჟანრითაც შემოქმედი ქმედითად ეხმაურებოდა ჩვენს სინამდვილეს. ვის დაავიწყდება თუნდაც ოპერეტის „სიმღერა თბილისზე" (ლ. ქუჩაბრის ლიბრეტო) ბრწყინვალე წარმატება? ჩვენი დედაქალაქის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს მუსიკალური სპექტაკლი 500-ჯერ დაიდგა, ბაქოს სცენაზეც კი აჟღერდა აზერბაიჯანულ ენაზე, „პაემანი ცაში" (ა. გეწაძის ლიბრეტო), საკავშირო დათვალიერებაში რომ აღინიშნა როგორც თანამედროვეობის ამსახველი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი. ასევე საკავშირო კონკურსზე პრემია ხვდა წილად ოპერეტას „გაზაფხული ფირფიტა". ასე გახდა განმსაზღვრელი ეროვნული ოპერეტის შექმნა-განვითარებაში შოთა მილორავას — შემოქმედის პიროვნება.

თანდაყოლილი ნიჭივით უტყუარ შემოქმედების მიზანსა და მამულიშვილურ სინდისს იმთავითვე საკუთარ გზაზე გაჰყავდა კომპოზიტორი. ეს გზა უკვე მა...

...ბა. ამიტომაც დგას საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში, ყველგან, სადაც კი მშრომელი ხალხია. ჭეშმარიტად სახალხო ხელოვანი მხურვალედ ეგებება მშრომელი კაცის გამარჯვებებს და ამ გრძნობის კარნახით რამდენი სიმღერა უთქვამს, ვინ მო...

...მნა შოთა მილორავამ, რათა თავისი წვლილი შეეტანა ორი დაძმობილებული ქალაქის მეგობრობაში. „ბედნიერების მზე" — ასე ეწოდა წლევანდელი თბილისქალაქობისათვის შოთა მილორავას მიერ შეთხზულ სიმღერას მორის ფოცხიშვილის ტექსტზე.

...დამახასიათებელია შოთა მილორავას შემოქმედებისათვის.

და მაინც, შ. მილორავას მთელი შემოქმედების საუკეთესო თვისებებმა თავი მოიყარა და განსახიერდა ოპერეტაში. სიმღერისადმი მისწრაფებამ ბუნებრივად მიიყვანა კომპოზიტორი იმ...

...ცხოვრების შეხებამაც. რამდენი საზოგადოებრივ-კულტურული წამოწყების მოთავე ყოფილა, ისეთი წამოწყებისა, რომელიც შემდგომში ტრადიციად ქცეულა. ასეთი იყო თუნდაც აჭარის ხელოვნების დეკადა 1957 წელს, მას მოჰყვა აფხაზეთი, ოსე...

...

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე

1. ეპიზოდი ლევ ტოლსტოის ცხოვრებიდან

ანუ როგორ გადარჩა „ომისა და მშვიდობის" ხელნაწერის ერთი ფურცელი

ილია ჭყონია (1860-1927) ახლო წარსულის ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა. როგორც ირკვევა, იგი ...

ილია ჭყონიას ავტოგრაფული ხელნაწერი — „ეპიზოდი ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებიდან" (№ 1026), რომელსაც ...

...ქალი ანა ტარსეი და მისგან ჩაუწერია მეტად საგულისხმო ამბავი (მართლწერა დაცულია):

„თავადის დიმიტრი გიორგის ძე მაჭუტაძის მეუღლე პატივცემული ანნა მაჭუტაძისა (ინგლისელი ქალი) გათხოვებამდე რამდენსამე წელიწადს რუსის სახელგანთქმული მწერლის — ლევ ნიკოლოზის ძის ტოლსტოის შვილებს ინგლისურს ენას ასწავლიდა და დგომითაც გრაფის ოჯახში იდგა.

ლ. ნ. ტოლსტოის თავის სიცოცხლეში არ დაუვიწყნია ქ-ნ ანნას მასწავლებლური ღვა...

იმ დროს, ლ. ნ. ტოლსტოის გენია „ომსა და მშვიდობიანობას" ქმნიდა. მოხდა ისე, რომ მოსამსახურე ქალს გულიდან გადაუვარდა ბატონის საწერი მაგიდის შესახებ გამოცემული განსაკუთრებული ბრძანება და დიდი ერთგულებით გადასწმინდა და მიალაგა კიდეც ნაწერები და წიგნები. რამდენიმე საათის შემდეგ ლევ ნიკოლოზის ძე შევიდა კაბინეტში, მიუჯდა მაგიდას და შენიშნა, რომ იგი უხერხულად იყო მილაგებული. მოჰკიდა ხელი თავის ნაწერებს და დაინახა, რომ აკლია მთელი ერთი გვერდი, ჩვეულებრივი საწერი ქაღალდის ნახევარი, სწორედ იმ დღეს თავიდან ბოლომდის გადაჭრელებული!..

რაღა თქმა უნდა, იმ წამსვე ...

2. ქება ქართული ჯიშისა

...

...

ამის შემდეგ ალექსანდრე ბერსს და მის მშვენიერ მეუღლეს — ფატი ერისთავს დედასამშობლოსთვის ახლად შემოერთებულ ბათუმში ვხვდებით. 1880-იან წლებში ბათუმში სამხედრო სამსახურში მყოფი ჩვენი სახელოვანი მწერალი დავით კლდიაშვილი გვიდასტურებს: ...

გურამ შარაძე.

სურათებზე: ქანი მაჭუტაძეტარსეი, შვილიშვილი ანა ტარსეი, რომელიც ცხოვრობს ლონდონში (გადაღებულია 1930-იან წლებში); გორკი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი; ფატი ერისთავი-ბერსი.

ყაბახი

24 და 25 დეკემბერს მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ორჯერ შეხვდა თბილისელ ჭადრაკის მოყვარულებს: ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, გუშინ კი ჭადრაკის სასახლეში საჭადრაკო კულტურის სახალხო უნივერსიტეტში მეცადინეობაზე. მსოფლიო ჩემპიონმა მსმენელებს გაუზიარა ლუცერნის საერთაშორისო ოლიმპიადის შთაბეჭდილებები და უპასუხა ბევრ შეკითხვაზე. დღეს ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ ამ შეხვედრებზე გამართული საუბრის შინაარსს:

კომუნისტი — საქართველოს საკავშირო

გვესაუბრება მსოფლიო ჩემპიონი

— რას იტყვით ლუცერნში ჩვენი გუნდების გამოსვლის შესახებ?

— მე ასეთ ოლიმპიადებში 1972 წლიდან ვთამაშობ და ვიცი, რა ძნელია იქ კარგად გამოსვლა. თქვენ წარმოიდგინეთ ასეთი უმძიმესი რეგლამენტი: დღისით თამაშობ ხუთსაათიან პარტიას, თუ ვერ მოასწარი დამთავრება, საღამოს კიდევ ორ საათს უნდა ითამაშო. შესაძლოა მაშინაც ვერ დაამთავრო. მაშინ დილით, მორიგი ტურის დაწყებამდე კიდევ ორ საათს უნდა ითამაშო...

ამჯერად ყველაფერი რიგზე იყო. ვაჟთა გუნდში ყველას ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა. ქალებმა, რომელთა კოლექტივი ...

...ვითარდება და ჩვენ შეიძლება ისეთი რამ ვიცით, რაც კაპაბლანკამ და ალიოხინმაც კი არ იცოდნენ. შეიძლება სხვანაირად დავსვათ საკითხი. რომელი მსოფლიო ჩემპიონები აღემატებოდნენ სხვებზე მეტად თავიანთ თანამედროვეებს? მე ასე ვუპასუხებდი: კაპაბლანკა, ალიოხინი, ფიშერი.

— რახან ფიშერზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გვითხარით, რა იცით მის შესახებ?

— ფიშერი, როგორც მოგეხსენებათ, უკვე 10 წელია აღარ თამაშობს ჭადრაკს. მე მას უკანასკნელად 5 წლის წინათ ვესაუბრე, თანაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამერიკელი უახლესი საჭადრაკო პრობლემების, თუ თეორიის კურსში იყო. მაგრამ იმის გამო, რომ იგი საერთოდ არსად თამაშობს, ვფიქრობ, ძალზე მცირე შესაძლებ...

...ცენტრში აღიარებულ დიდოსტატებს ჰკითხეს. მათმა დიდმა უმეტესობამ მიიჩნია, რომ უძლიერესი პრეტენდენტი სწორედ მატჩებში უნდა შეირჩეს.

— საზონათაშორისო ტურნირები?

— აუცილებელ რეფორმას მოითხოვს. ერთი ასეთი ტურნირი იყო, რომელშიც 24 კაცი მონაწილეობდა, შემდეგ ორი — 18-18 კაცი მონაწილეობდა. ახლა სულ გააუარესეს საქმე — სამი ტურნირი გამართეს 14-14 მონაწილით. მათ შორის ბევრი სუსტი ოსტატი იყო, რომლებიც იქ ეგრეთ წოდებული გეოგრაფიული პრინციპით მოხვდნენ.

მე ასე მოვიქცეოდი: 20 უძლიერეს დიდოსტატს შევარჩევდი ელოს სისტემის მიხედვით, შემდეგ კი მათ ათს დავუმატებდი, რომლებიც შესარჩევ შეჯიბრებებში გამოიჩენდნენ თავს.

— როგორ უნდა მოეწყოს მატჩი მსოფლიო პირველობაზე?

— ახლანდელი ულიმიტო მატჩი 6 მოგებამდე ძალიან დიდ დროს მოითხოვს. მაგალითად, ბაგიოში 93 დღეს ვთამაშობდით, მერანოში — 53 დღეს. ეტყობა, ...

...

ო. გველესიანი

...

ლიდერობს ნანა იოსელიანი

...

სურაში, გაგრული და ტექნიკური...

...

თბილისში კი მიმდინარეობს პირველი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა თბილისში უკვე მესამე მატჩი გამართა და კვლავ გაიმარჯვა. ამჯერად მასპინძლებმა დაამარცხეს სვერდლოვსკის „ურალმაშის" — 86:84.

...

...ხალხოსნობ ხელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტული სოციოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

მიხეილ კირილეს ძე გეგეშიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09844 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კომპლექსი, კოსტავას 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20